საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 763-02
29/03/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე კომიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დ. ჯაფარიძის 2019 წლის 7 მარტის N3458-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 29 მარტის №3 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 1 აპრილიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე კომიუტერული და ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;**

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) ერთი ნაშრომი, ან სამუშაოს აღწერა, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შესაბამის გამოცდილებას;

ე) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ზ) ცნობა პროფესიული გამოცდილების შესახებ.

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგანოს აკადემიური საბჭოს ან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილიების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების გამოცდილება;

6. საკონკურსო განცხადებების მიღება 2019 წლის 2 მაისიდან 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2019 წლის 29 მაისს.

8. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge

9.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.
10.ამ ბრძანების მე-9 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
11.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
12.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი